საქართველოს სახელმწიფო მინისტრის პირველი მოადგილე
ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში
ინტეგრაციის საკითხებში

N 01/1820
29/05/2017

1820-01-2-201705291051

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური
დაცვის მინისტრის მოადგილეს
ქალბატონ ნინო ბერძულს

ქალბატონო ნინო,

როგორც მოგეხსენებათ, საქართველო ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში ფუნქციონირებს ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტი, რომელზეც განიხილება ასოცირების შესახებ შეთანხმების V, VI და VII კარებით გათვალისწინებულ სფეროებში საქართველო ევროკავშირის თანამშრომლობისა და საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან დაახლოების საკითხები.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია საქართველო ევროკავშირის ასოცირების ეკონომიკური და დარგობრივი თანამშრომლობის ქვეკომიტეტის საქართველოს მხარის შემადგენლობის დამტკიცება მთავრობის ნორმატიული აქტით.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ თქვენი უწყების წარმომადგენლების (სასურველია არანაკლები ვიდრე, დეპარტამენტის უფროსის დონე) კანდიდატურა, რომელსაც ასევე ექნება უფლებამოსილება მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირთან საქართველოს კანონმდებლობის დინამიური აპროქსიმაციის საკითხებზე გამართულ მოლაპარაკებებში.

პატივისცემით,

არჩილ ყარაულაშვილი

ა. ყარ

მინისტრის პირველი მოადგილე

სახელმწიფო მინისტრის აპარატი

ინგოროყვას ქ. № 7, 0114 თბილისი; ტელ: +99532 2932867; ელ-ფოსტა: office@eu-nato.gov.ge;
ვებ-გვერდი: www.eu-nato.gov.ge